რაგბი

ბურთით თამაშებიდან რომელი მოგწონს და რატომ? წაიკითხე ტექსტი და გაეცანი ერთ-ერთი ასეთი თამაშის ისტორიას.

რაგბი გუნდური თამაშია. რაგბიში ერთმანეთს ეთამაშება ორი გუნდი. თითოულ გუნდში 15-15 წევრია. ისინი წესების დაცვით თამაშობენ. მათი მიზანია, დროის **გარკვეულ** მონაკვეთში რაც შეიძლება მეტი ქულის დაგროვება. ყველაზე მეტს, 5 ქულას, გუნდი იღებს ლელოს გატანით. ლელო გატანილად ითვლება, როცა მორაგბე მეტოქის ჩათვლის მოედანში დაამიწებს ბურთს. სპორტსმენები თამაშობენ ოვალური ბურთით. გუნდის წევრებს შეუძლიათ ბურთი ატარონ როგორც ფეხით, ისე ხელით.

გაინტერესებს, როდის შეიქმნა რაგბი? არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად, რაგბის დაბადების დღეა 1823 წლის 7 აპრილი. ამ დღეს ინგლისის ქალაქ რაგბიში ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ. ვებ ელისმა, 16 წლის მოსწავლემ, თამაშის წესები დაარღვია. მან უცებ ხელი დასტაცა ბურთს და მეტოქის კარისკენ გაიქცა. ფიქრობენ, რომ ამ დღეს ჩაეყარა საფუძველი ახალ თამაშს. თუმცა ამ **ვერსიას** ბევრი არ იზიარებს. მათი აზრით, მაშინ ფეხბურთის თამაში ფეხითაც შეიძლებოდა და ხელითაც. ამიტომ ბურთის ხელში დაჭერა დარღვევა ვერ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, რაგბიში მთავარ ჯილდოს, მსოფლიოს თასს, მაინც ვებ ელისის სახელი ჰქვია.

მას შემდეგ ორი ათეული წელი გავიდა. და აი, 1845 წელს რაგბის სკოლის მოსწავლეებმა დაწერეს თამაშის წესები. ამ წესების მიხედვით, რაგბიში ბურთის ხელში დაჭერა და გაქცევა შეიძლებოდა, ფეხბურთში კი – მხოლოდ დაჭერა. გუნდები შეჯიბრების წინ ირჩევდნენ, თუ რომელი წესით უნდა ეთამაშათ.

1869 წელს ფეხბურთში, საბოლოოდ, **აიკრძალა** ხელით თამაში. ხელით თამაშის მსურველებმა 1871 წელს დააარსეს ინგლისის რაგბის კავშირი. მასში 21 გუნდი გაერთიანდა. იმავე წელს გამოიცა თამაშის პირველი ოფიციალური წესები. ასევე გაიმართა პირველი საერთაშორისო **მატჩიც** ინგლისსა და შოტლანდიას შორის. ეს ახალი თამაში ჯერ ბრიტანეთის კუნძულებზე გავრცელდა. მალე ის მთელმა მსოფლიომ გაიცნო.

რაგბის პირველი ქართული **კლუბი** კი 1959 წლის 15 ოქტომბერს შეიქმნა. 1967 წელს ჩატარდა საქართველოს I ჩემპიონატი. 1991 წლიდან არსებობს საქართველოს რაგბის კავშირი. 1992 წელს კი რაგბის საერთაშორისო საბჭომ საქართველო 52-ე წევრად მიიღო. მომდევნო წლიდან ჩვენი **ნაკრები** პირველად ჩაება **ჩემპიონატში** მსოფლიოს თასის მოსაპოვებლად. დღეს საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს საუკეთესო გუნდების ოცეულშია.

კომპონენტი: თანამიმდევრობა, **დონე:** 4.3

რა იცოდი და რა გაიგე რაგბის შესახებ ახალი?

www.chemiskola.emis.ge
LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 პირველი აბზაციდან ვიგებთ:

ა) რა არის რაგბის თამაშის მთავარი მიზანი.

ბ) რამდენ ხანს გრძელდება რაგბის თამაში.

გ) რატომ თამაშობენ რაგბის ოვალური ბურთით.

2 როდის და ვის მიერ შეიქმნა ოფიციალურად რაგბის თამაშის წესები?

ა) 1823 წლის 7 აპრილს ვებ ელისის მიერ.

ბ) 1845 წელს ქალაქ რაგბის მოსწავლეების მიერ.

გ) 1871 წელს ინგლისის რაგბის კავშირის მიერ.

3 ინგლისის რაგბის კავშირი დაარსდა მას შემდეგ, რაც:

ა) გაიმართა მატჩი ინგლისსა და შოტლანდიას შორის.

ბ) რაგბი ბრიტანეთის კუნძულებზე გავრცელდა.

გ) ფეხბურთში აიკრძალა ბურთის ხელით თამაში.

4 როდის გახდა საქართველო რაგბის საერთაშორისო საბჭოს წევრი?

ა) მას შემდეგ, რაც შეიქმნა საქართველოს რაგბის კავშირი.

ბ) მას შემდეგ, რაც ჩვენი გუნდი მსოფლიოს თასის გათამაშებაში ჩაერთო.

გ) მაშინვე, როგორც კი რაგბის პირველი ქართული კლუბი შეიქმნა.

5 ტექსტის მიზანია, მოკლედ გაგვაცნოს:

ა) რაგბის შექმნის ისტორია.

ბ) ვებ ელისის ვინაობა.

გ) ქართველ მორაგბეთა წარმატებები.

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. დროის **გარკვეულ** მონაკვეთში ქულის დაგროვებაა საჭირო.

   ა) განსაზღვრულ. ბ) დიდ. გ) მცირე.

2. ამ **ვერსიას** ბევრი არ იზიარებს.

   ა) დასკვნას. ბ) ვარიანტს. გ) შთაბეჭდილებას.

3. ფეხბურთში **აიკრძალა** ბურთის ხელით თამაში. **აკრძალვა** ნიშნავს:

   ა) გაუქმებას. ბ) დატოვებას. გ) შეცვლას.

2 დააკავშირეთ ხაზებით სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. კლუბი	სპორტის რომელიმე სახეობაში შეჯიბრება საუკეთესოს გამოსავლენად.
2. ნაკრები	საერთო ინტერესების, ერთი პროფესიის ადამიანების გაერთიანება.
3. ჩემპიონატი	ორ გუნდს შორის გამართული შეჯიბრება სპორტის რომელიმე სახეობაში.
4. მატჩი	სხვადასხვა გუნდების საუკეთესო სპორტსმენებისაგან შემდგარი გუნდი.

3 ხაზებით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

1. მეტოქე	დაკანონებული
2. საფუძველი	მოწინააღმდეგე
3. ოფიციალური	საძირკველი

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა.

გაიმართა პირველი მატჩიც (ინგლისი)---------- და შოტლანდიას შორის.

LIVEWORKSHEETS

გრამატიკა

2 დაწერე რიცხვითი სახელები ციფრებით.

ნიმუში: ორმოცდამეთორმეტე — 52-ე. მეოთხმოცე — მე-80.

1. ოთხმოცდამეათე – ----------. 2. მეჩვიდმეტე – ----------.

3. ოცდამეშვიდე – ---------- . 4. მესამოცე – ----------.

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

1. ერთმანეთს ---------- ორი გუნდი. *(ეჯიბრება / ეჯიბრებიან)*

2. რამდენიმე მოსწავლემ ---------- თამაშის წესები. *(დაწერეს/დაწერა)*

წერა

1 ტექსტის მიხედვით შექმენი რაგბის ისტორიის მოკლე ცნობარი. ფაქტები დაწერე თანა-მიმდევრობით, წლების მითითებით.

1. 1823 წლის 7 აპრილი – რაგბის დაბადების დღე.

2. ----------

3. ----------

4. ----------

5. ----------

6. ----------

2 დაწერე შენი საყვარელი სპორტული თამაშის წესები. გამოიყენე სიტყვები: *ჯერ, შემდეგ, ბოლოს.*

LIVEWORKSHEETS